

საიდ. N 79818/03

IR 1224553

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №04-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე, თ. ჯაფარიძე, უ. ოშხელი გ. ფანცულაიას მდივნობით განიხილა კომპანიის „სიმ ლაისენზინგ ლტდ“ (SIM Licensing Ltd) N04-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 28 სექტემბრის N2809/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის „ELIE SAAB“ (საიდ. N79818/03, IR 1224553) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (25-ე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

## გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 28 სექტემბრის N2809/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სიტყვიერი ნიშანი „ELIE SAAB“ მსგავსია კომპანიის „სააბ აბ“ (Saab AB) სახელზე რეგისტრირებული, „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის შეთანხმების ოქმით“ საქართველოზე გავრცელებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშნისა „SAAB“ (რეგ. თარ: 2007-09-14, IR 955513) 25-ე კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია ლათინური ანბანით, ორივე მათგანი შედგება მხოლოდ სიტყვიერი ელემენტებისაგან. განცხადებულ ნიშანს აქვს დამატებითი სიტყვიერი ელემენტი „ELIE“, თუმცა აღნიშნული ვერ უზრუნველყოფს მათ შორის საკმარის განმასხვავებლობას, რადგან ძირითადი დატვირთვა მოდის სიტყვიერ ელემენტზე - „SAAB“. ნიშნები ასევე, მსგავსია ფონეტიკური კრიტერიუმით, აღნიშნულიდან გამომდინარე ჩნდება მათ შორის აღრევის და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა.

აღნიშნულის გამო, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში 25-ე კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი კომპანია „სიმ ლაისენზინგ ლტდ“ (SIM Licensing Ltd) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავებულია, როგორც ვიზუალური ისე ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით. აპელანტის პოზიციით, გაცხადებული ნიშანი წარმოადგენს სიტყვიერ აღნიშვნას, რომელიც შედგება ლათინური ანბანის ასომთავრული ასოებით

შესრულებული ორი ელემენტისგან. ნიშანი თავისი სტრუქტურით ერთგვაროვანია. ნიშნის დამახასიათებელ გრაფიკულ თავისებურებას წარმოადგენს ასოების „E“ და „A“ განმეორებითობა. ამასთან, ნიშნის ასომთავრული ასოებით შესრულების გათვალისწინებით, გრაფიკული ცენტრი არ არსებობს, ხოლო მომხმარებლების ყურადღება თანაბრადაა გადანაწილებული განცხადებული ნიშნის ყველა ელემენტზე. განცხადებული ნიშნის ფონეტიკური სურათი მომხმარებლის მიერ აღქმული იქნება შემდეგნაირად: „ე-ლი ს ა -აბ“. ნიშანი შედგება ორი სიტყვისგან, ოთხი მარცვლისგან (სამი ღია, ერთი დახურული), შვიდი ბგერისგან (ოთხი ხმოვანი, სამი თანხმოვანი). ღია მარცვლების სიჭარბის გათვალისწინებით, განცხადებული ნიშნის წარმოთქმა წარმოადგენს რბილს და მელოდიურს, რაც ქმნის ნიშნის ინდივიდუალურ არტიკულაციურ თავისებურებებს. სემანტიკის კუთხით, განცხადებული ნიშანი წარმოადგენს საყოველთაოდ ცნობილი დიზაინერის ელი სააბის (Elie Saab) (სრული სახელი ელიას ბოუ სააბ) სახელის შემოკლებას, რომელიც განმცხადებელი კომპანიის დირექტორი და მოდის სახლის დამფუძნებელია. აპელანტის მტკიცებით, საკუთარი სახელების ფეხსაცმლის, ტანსაცმლისა და აქსესუარების ბრენდის სახით გამოყენების პრაქტიკა საკმაოდ გავრცელებულია მსოფლიოში. მაგალითად: „Christian Dior“ – ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და აქსესუარების ფრანგული ბრენდი, რომელიც დამაარსებლის სახელიდან წარმოიქმნა; „Vera Wang“ – საპატარძლო კაბების ამერიკული ბრენდი, რომელსაც ასე მისი დიზაინერის საპატივსაცემად დაერქვა. „ივ სენ ლორან“ (Yves Saint-Laurent) – ფრანგული ბრენდი, რომელსაც ასე მისი დამაარსებლის საპატივსაცემად დაერქვა. „კრისტიან ლაბუტინი“ (Christian Louboutin) - საკულტო ფრანგული ფეხსაცმლის ბრენდი, რომელსაც ასე მისი დამაარსებლის საპატივცემლოდ დაერქვა. განცხადებული ნიშანი წარმოადგენს ცნობილი მოდელიერის სახელს, რომელიც წარმოადგენს განცხადებული ნიშნით მონიშნული, ელეგანტური კაბების, ფეხსაცმლისა და აქსესუარების კოლექციის შემქმნელს. შესაბამისად, ნიშანს აქვს კონკრეტული სემანტიკური მნიშვნელობა, რომელიც საკუთარი სახელების ბრენდის სახით გამოყენების პრაქტიკის გათვალისწინებით,

მარტივად იქნება აღქმული მომხმარებლის მიერ, როგორც დიზაინერის სახელი და გვარი, რაც სრულიად გამორიცხავს განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნის აღრევის შესაძლებლობას.

აპელანტის აზრით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „SAAB“ შედგება ერთი სიტყვისგან. მთლიანობაში, გრაფიკულ სახეს, რომელსაც ქმნის დაპირისპირებული ნიშანი, აქვს მკაცრი მონოლითური კომპოზიცია, გრაფიკული ცენტრით განმეორებადი ასო-ბგერის - „A“ სახით, რაც განაპირობებს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების გრაფიკულ განსხვავებას. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი გამოითქმის შემდეგნაირად: „სა -აბ“. აღნიშვნა შედგება ერთი სიტყვისგან, ორი მარცვლისგან (ერთი ღია, ერთი დახურული), ოთხი ბგერისგან (ორი ხმოვანი, ორი თანხმოვანი). განცხადებული ნიშნისგან განსხვავებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი წარმოითქმის მოკლედ და ლაკონურად. სემანტიკური თვალსაზრისით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს კომპანიის „სააბ აბ“ (Saab AB) საფირმო დასახელების ნაწილს, რაც თავის მხრივ წარმოადგენს კომპანიის თავდაპირველი დასახელების შემოკლებას, კერძოდ კომპანიის „სვენსკა აეროპლან აქტიბოლაგეტ (სვიდიშ ეირპლეინ კომპანი ლიმიტედ“ (Svenska Aeroplan Aktiebolaget (Swedish Airplane Company Limited). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შეიძლება გამოითქვას, როგორც - „ეს - ეი - ეი - ბი“. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის ფონეტიკა არის ვარიაციული და დამოკიდებულია ცალკეული ქართველი მომხმარებლის აღქმაზე.

აპელანტი ასევე მიიჩნევს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელების პროდუქციას აქვს საკმაოდ მაღალი ფასი, განსხვავებული სპეციალიზაცია და განკუთვნილია მომხმარებელთა ვიწრო წრისთვის. მათ შორის, განმცხადებლის საქონელი განეკუთვნება პროდუქციის ექსკლუზიურ სეგმენტს და არ არის განკუთვნილი მასიური მოხმარებისთვის. ამასთან, დაპირისპირებული ნიშნის მფლობელის პროდუქციას აქვს ტექნიკური დანიშნულება, ნიშანი გამოიყენება

ავიატრანსპორტისა და ავტომობილების ბრენდის აღსანიშნად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნის აღრევის აღბათობა ნაკლებად სავარაუდოა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 28 სექტემბრის N2809/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის „ELIE SAAB“ (საიდ. N79818/03, IR 1224553) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ N04-03/16 სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი - იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.“

სააპელაციო პალატის კოლეგია არ იზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განხვავებაზე და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „ELIE SAAB“ (საიდ. N79818/03, IR 1224553) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „SAAB“ (რეგ. თარ: 2007-09-14, IR 955513) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური ისე ფონეტიკური თვალსაზრისით.

ორივე სასაქონლო ნიშანი შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. მათ შორის განხვავებას წარმოადგენს მხოლოდ

განცხადებულ სასაქონლო ნიშანში არსებული დამატებითი აღნიშვნა - „ELIE“, რომელიც ვერ სძენს ნიშნებს საკმარის განმასხვავებლობას. ამასთან, განცხადებული სასაქონლო ნიშანი მთლიანად მოიცავს დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს - „SAAB, რაც ზრდის ნიშნებს შორის აღრევასა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ასევე, ფონეტიკური თვალსაზრისით, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც - „ელი სააბ“, ხოლო დაპირისპირებული, როგორც „სააბ“.

იდენტურია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების 25-ე კლასის საქონლის ჩამონათვალი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნისთვის „ELIE SAAB“ (საიდ. N79818/03, IR 1224553) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

#### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „სიმ ლაისენზინგ ლტდ“ (SIM Licensing Ltd) N04-03/16 სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული

აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 28 სექტემბრის N2809/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

წევრები:

მ. ფრუიძე

თ. ჯაფარიძე

უ. ოშხნელი